ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4123585

ნომერი: AR1623011

თარიღი : 14.08.2018

გაცემის თარიღი : 16.08.2018

გაცნობის თარიღი : 16.08.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პუშკინი , N 1-3 , (ნაკვ. 18/26) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა პუშკინი , N 1-3 , (ნაკვ. 18/29) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა პუშკინი , N 1-3 , (ნაკვ. 18/030);

დამკვეთი-განმცხადებელი
- გერმანე ჭელიძე პ/ნ 01017008195
- თბილისი საქანელას ქ. N 35

ორგანიზაცია:
- შპს "ეს.ი.ეი" კოდი: 401987597

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. წარმოდგენილი ქვეიჯარის ხელშეკრულების მიხედვით იჯარის საგანია N01.18.03.018.036.01.501 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ფართი და ქვემეიჯარეა შპს „ინტერპრეტარი,“ რომლის უფლებამოსილება აღნიშნულ საკადასტროსთან მიმართებით არ დგინდება. ამასთან, ქვეიჯარის ხელშეკრულება დადებულია 5 წლის ვადით და საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. ასევე წარმოსადგენია შპს „ინტერპრეტართან“ დადებული იჯარის ხელშეკრულება, საჭიროების შემთხვევაში, მესაკუთრის თანხმობით.

ასევე გთხოვთ რუკაზე მონიშნოთ წილობრივი ფართი და საკადასტრო რუკა.
2. სასურველია ფოტომონტაჟზე მოიხსნას სტიკერები და დროშა.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.